

## მომსახურების პირობები

### 1. ზოგადი მიმოხილვა

1.1. თქვენ მიერ [www.coinswap.ge](http://www.coinswap.ge)-ით სარგებლობას უზრუნველყოფს შპს ბეთქეივი, საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შემდგომში ნოდებული როგორც “კოინსვაპ” ან “ჩვენ”) თქვენი რეზიდენტობის ქვეყნის მიხედვით:

1.2. წინამდებარე მოხმარების პირობები (შემდგომში ნოდებული, როგორც „ხელშეკრულება“) განმარტავს ნებისმიერი პირის მიერ [Coinswap.ge](http://Coinswap.ge)-სთან და [Coinswap](http://Coinswap)-ის მიერ შეთავაზებულ ნებისმიერ სხვა პროდუქტთან წვდომის და მოხმარების პირობებს წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლით განსაზღვრულ პროდუქტებთან დაკავშირებით (შემდგომში ნოდებული, როგორც „პროდუქტი“ ან „ვებგვერდი“).

1.3. აღნიშნული პირობები ვრცელდება ყველა ვიზიტორზე, მომხმარებელსა და სხვა პირზე, რომელიც დარეგისტრირდება ან სხვაგვარად მიიღებს წვდომას ან გამოიყენებს პროდუქტს (შემდგომში ნოდებული, როგორც „თქვენ“, „თქვენი“ ან „მომხმარებლები“).

1.4. პროდუქტთან წვდომით ან მისი გამოყენებით, ჩვენთან ანგარიშის დარეგისტრირებით და/ან „ეთანხმები მოხმარების წესებს და პირობებს“ ლილაკზე დანკაპუნებით, თქვენ ელექტრონულად დაადასტურებთ, რომ წაიკითხეთ, გაიგეთ და ეთანხმებით წინამდებარე მოხმარების პირობებით (შემდგომში ნოდებული როგორც „პირობები“ ან „მოხმარების პირობები“) გათვალისწინებულ პირობებს, ვალდებულებებსა და სხვა პოლიტიკის დოკუმენტებს (მაგალითად, [Coinswap](http://Coinswap)-ის კონფიდენციალობის პოლიტიკას და ა.შ.), რომლებიც განთავსებულია [Coinswap.ge](http://Coinswap.ge)-ზე.

1.5. პროდუქტთან მიმართებით შეიძლება პერიოდულად გავრცელდეს ჩვენ მიერ განსაზღვრული დამატებითი პირობები და თქვენ მიერ აღნიშნული პროდუქტით სარგებლობა დაექვემდებარება დამატებით პირობებს, რომლებიც მითითებული იქნება წინამდებარე მოხმარების პირობებში.

1.6. [Coinswap](http://Coinswap) რეკომენდაციას არ უწევს რაიმე კონკრეტულ კრიპტო აქტივს, ქსელს, ტრანზაქციას ან ვაჭრობის სტრატეგიას. თქვენ აღიარებთ და ეთანხმებით, რომ ყველა ტრანზაქციასთან დაკავშირებული გადანყვეტილება მიიღეთ მხოლოდ თქვენ და [Coinswap](http://Coinswap) არ აგებს პასუხს ან არ კისრულობს რაიმე ვალდებულებას თქვენი გადანყვეტილებების შედეგებზე.

1.7. ჩვენი პროდუქტის გამოყენების შედეგად წარმოშობილი ზარალის რისკი შესაძლოა იყოს მნიშვნელოვანი. აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, სათანადო სიფრთხილის ზომების დაცვით განიხილოთ კრიპტო აქტივის ყიდვის ან გაყიდვის მიზანშეწონილობა და შესაბამისობა თქვენს ფინანსურ მდგომარეობასთან. გთხოვთ, ყურადღებით გაეცნოთ ამ ხელშეკრულებას და დარწმუნდეთ, რომ გაიგეთ და ეთანხმებით თითოეულ პუნქტს. თუ არ ეთანხმებით წინამდებარე მოხმარების პირობებს ან აღნიშნულ პირობებში სამომავლოდ განხორციელებულ რაიმე მოსალოდნელ ცვლილებას, არ გამოიყენოთ ჩვენი პროდუქტი.

### 2. მოთხოვნებთან შესაბამისობა

ამ პროდუქტის გამოყენებამდე, თქვენ აცხადებთ, იძლევთ გარანტიას და ეთანხმებით შემდეგ პირობებს:

- 2.1. თქვენ იყენებთ ჩვენს პროდუქტს თქვენი ერთპიროვნული არჩევანით, შეხედულებისამებრ და რისკით;
- 2.2. ჩვენი პროდუქტის გამოყენება შესაძლებელია თქვენი იურისდიქციის (მუდმივი საცხოვრებელი ქვეყნის) კანონმდებლობით ნებადართულ შემთხვევებში;
- 2.3. თქვენ პასუხს აგებთ ნებისმიერი გადასახადის გადახდაზე ან სხვა იურიდიული ვალდებულების შესრულებაზე, რომლებიც შეიძლება დაექვემდებაროს ანგარიშსწორებას/წარმოიშვას ჩვენი პროდუქტის გამოყენების დროს;
- 2.4. თქვენ ბრძანდებით 18 წელზე უფროსი ასაკის ან თქვენი ქვეყნის მოქმედი იურისდიქციით კანონიერად დაშვებული სხვა ასაკის, რადგან 18 წლამდე ასაკის პირებისთვის ჩვენი პროდუქტის გამოყენება დაშვებული არ არის;
- 2.5. თქვენ ხართ ფიზიკური პირი, იურიდიული პირი ან სხვა ორგანიზაცია, რომელსაც გააჩნია ამ ხელშეკრულების გაფორმების სრული იურიდიული შესაძლებლობა და უფლებამოსილება;
- 2.6. თუ წინამდებარე ხელშეკრულებას ეთანხმებით იურიდიული პირის ან სხვა ორგანიზაციის სახელით, რომლის წარმომადგენელიც ბრძანდებით, თქვენ აცხადებთ და იძლევით გარანტიას, რომ თქვენ გაქვთ ყველა აუცილებელი უფლება და უფლებამოსილება, იკისროთ ვალდებულებები ასეთი იურიდიული პირის სახელით;
- 2.7. თქვენ აცხადებთ თანხმობას, გადაიხადოთ ჩვენი პროდუქტით სარგებლობის საფასური, როგორც ეს განსაზღვრულია Coinswap-ის მიერ და შეიძლება შეიცვალოს პერიოდულად;
- 2.8. თქვენ აცნობიერებთ, რომ არსებობს ინტერნეტ სისტემასთან დაკავშირებული რისკები, როგორიცაა აპარატურის მწყობრიდან გამოსვლა, პროგრამული უზრუნველყოფის და ინტერნეტ კავშირების ფუნქციონალური დარღვევა და ა.შ. ასევე, ნებისმიერი სახის გაუმართაობა/ხარვეზი ან შეტევა ჩვენს ვებგვერდზე.

### 3. ჩვენი პროდუქტის გამოყენება

- 3.1. პროდუქტი რეგისტრირებულ მომხმარებლებს საშუალებას აძლევს:
  - 3.1.1. შეიძინონ ან გაყიდონ კრიპტო აქტივები სხვა კრიპტო აქტივების ან სტანდარტული ვალუტის სანაცვლოდ;
  - 3.1.2. გამოიტანონ სტანდარტული ვალუტა და / ან კრიპტო აქტივები Coinswap-ის ანგარიშიდან;
  - 3.1.3. შეინახოს სტანდარტული ვალუტა და / ან კრიპტო აქტივები Coinswap-ის ანგარიშზე.
- 3.2. თქვენ შესაძლებელია ვერ ისარგებლოთ ვებგვერდის ყველა ფუნქციით, იმის გათვალისწინებით თუ რომელ ქვეყანაში ცხოვრობთ.
- 3.3. Coinswap-ს შეუძლია, საკუთარი შეხედულებისამებრ, შეცვალოს ან განაახლოს პროდუქტის ფუნქციონალი, სრულად ან ნაწილობრივ, ნებისმიერ დროს.

3.4. თქვენ არ უნდა გადასცეთ პროდუქტის გამოყენებაზე თქვენი უფლებები ან სხვაგვარად არ უნდა გაასხვისოთ წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული თქვენი უფლებების რაიმე ნაწილი.

3.5. აღნიშნული პირობები არ განიჭებთ უფლებასა და ნებართვას გადაიღოთ ასლი, გაავრცელოთ, შეცვალოთ ან სხვაგვარად გამოიყენოთ პროდუქტის ინტერფეისი, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა.

3.6. თქვენ არ განახორცილებთ და არ დაეხმარებით მესამე მხარეს შემდეგი ქმედებებში: (ა) გამოიყენოს ნებისმიერი უნებართვო საშუალება პროდუქტზე წვდომისათვის, ან ისარგებლოს ნებისმიერი ავტომატიზირებული პროცესით ან მომსახურებით (მაგალითად, ბოტი, **Spider** ან **Cryptal**-ის მიერ შენახული ინფორმაციის პერიოდული ქეშირება); (ბ) შეცვალოს, გადააკეთოს ან ნებისმიერი სხვა გზის საშუალებით შექმნას პროდუქტის არაორიგინალური ასლი; (გ) შეაფერხოს იმ სერვერების ან ქსელების მუშაობა, რომლებსაც **Coinswap** იყენებს პროდუქტის მინოდებისთვის; (დ) დააზიანოს, მოშალოს, გადატვირთოს პროდუქტი (ან პროდუქტთან დაკავშირებული ნებისმიერი ქსელი); (ე) გამოიყენოს სხვა მომხმარებლის ანგარიში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ასეთი გამოყენების უფლებამოსილება მინიჭებულია **Coinswap**-ის მხრიდან; (ვ) გამოიყენოს პროდუქტი რაიმე ფორმით ან რაიმე მიზნით, გარდა წინამდებარე პირობებით, კონფიდენციალობის პოლიტიკით, **Coinswap**-ის მომხმარებლის ნებისმიერი სახელმძღვანელოთი და პოლიტიკით პირდაპირ ნებადართული შემთხვევებისა; (ზ) მონაწილეობა მიიღოს რაიმე სახის არაკანონიერ ან თაღლითურ საქმიანობაში, მოიტყუოს ან ჩაერთოს ქსელური თაღლითობის სქემებში, მონაცემების გაყალბებით, მანიპულირებით ან სხვა ნებისმიერი გზით; (თ) გაუგზავნოს არასასურველი ინიციატივით ან არაავტორიზებული ე.წ. **Junk** ელექტრონული ფოსტა, სპამი, ე.წ. **Chain Letters**, პირამიდული სქემები, კომერციული თუ ნებისმიერი სხვა მიზნით. **Coinswap**-ს შეუძლია განსაზღვროს, საკუთარი შეხედულებისამებრ, თუ რამდენად და რა მოქმედების განხორციელება შეუძლია აღნიშნული პირობების სავარაუდო დარღვევის საპასუხოდ, ან რა მოქმედება ან უმოქმედობაა მიზანშეწონილი რაიმე კონკრეტულ შემთხვევაში, რაც არ განსაზღვრავს ან არ შეზღუდავს ჩვენს სამომავლო რეაგირებას.

#### 4. ანგარიშების გამოყენება

4.1. თქვენი **Coinswap**-ის ანგარიში საშუალებას გაძლევთ, ისარგებლოთ პროდუქტით და ნებისმიერი სხვა ფუნქციით, რომელსაც შევქმნით და გავუშვებთ ექსპლუატაციაში პერიოდულად და ჩვენი შეხედულებისამებრ.

4.2. ჩვენ შესაძლოა გვეკონდეს სხვადასხვა ტიპის ანგარიში სხვადასხვა ტიპის მომხმარებლისთვის.

4.1.2. თუ თქვენ გახსნით **Coinswap**-ის ანგარიშს ორგანიზაციის ან სხვა პირის სახელით, მაშინ ტერმინი - „თქვენ“ გგულისხმობთ როგორც თქვენ, ასევე ამ იურიდიულ პირს, და თქვენ აცხადებთ და ადასტურებთ, რომ თქვენ ბრძანდებით ორგანიზაციის ან იურიდიული პირის უფლებამოსილი წარმომადგენელი, რომელიც უფლებამოსილია, იკისროს შესაბამისი ვალდებულებები ორგანიზაციის ან იურიდიული პირის სახელით წინამდებარე პირობებთან მიმართებაში და რომ ამ პირობებს ეთანხმებით ორგანიზაციის სახელით;

4.2. თქვენ ვერ შეძლებთ სხვა მომხმარებლის ანგარიშით სარგებლობას შესაბამისი ნებართვის გარეშე. თქვენი ანგარიშის შექმნისას, თქვენ უნდა წარმოადგინოთ ზუსტი და სრულყოფილი ინფორმაცია და ეს ინფორმაცია მუდმივად უნდა განახლოთ.

- 4.3. თქვენ გევალებათ გააკონტროლოთ და დაიცვათ სათანადო უსაფრთხოება თქვენი ავტორიზაციისთვის საჭირო ინფორმაციის, კოდური სიტყვების (პაროლების), პირადი გასაღებების, საიდენტიფიკაციო ნომრების (PIN) და ნებისმიერი სხვა საშუალების მიმართ, რომელთაც იყენებთ პროდუქტთან წვდომის მისაღებად.
- 4.4. თქვენ უნდა დაიცვათ თქვენს ანგარიშთან დაკავშირებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა და არ დაუშვათ მესამე მხარის მიერ თქვენი სახელით პროდუქტზე წვდომა ან მისი გამოყენება, სანამ ჩვენ არ მოგცემთ შესაბამის დასტურს.
- 4.5. თუ ჩათვლით, რომ დაირღვა თქვენი ანგარიშის უსაფრთხოება, წერილობით უნდა შეგვატყობინოთ შემდეგ მისამართზე **business@batcave.one**
- 4.6. თქვენ აგებთ პასუხს, ხოლო **Coinswap** არ კისრულობს რაიმე ვალდებულებას ყველა იმ ოპერაციაზე, რომელიც განხორციელდება თქვენს **Coinswap**-ის ანგარიშზე.
- 4.7. **Coinswap** იძლევა საშუალებას დააგენერიროთ საფულის მისამართები, რომლებიც შეგიძლიათ გამოიყენოთ კრიპტო აქტივების გაგზავნის, მიღებისა და შენახვისთვის.
- 4.8. თქვენ ერთპიროვნულად ხართ პასუხისმგებელი თქვენი საფულის უსაფრთხოებაზე.
- 4.9. თქვენს საფულეზე წვდომის მისაღებად საჭირო ინფორმაცია უნდა იყოს დაცული. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს გამოიწვევს საფულეში შენახულ კრიპტო აქტივზე კონტროლის დაკარგვას, რაზეც ჩვენ არ ვაგებთ პასუხს.
- 4.10. თქვენ აცნობიერებთ, რომ თქვენი კრიპტო ტრანზაქციების დეპოზიტის მისამართი (საფულე) შესაძლებელია გაუქმდეს თუ თქვენ მას არ გამოიყენებთ 2 თვის განმავლობაში. აღნიშნულის შესახებ ჩვენ წინასწარ შეგატყობინებთ გაუქმებამდე 24 საათით ადრე. გაუქმების შემდეგ თქვენი კრიპტო ბალანსი სრულად შენარჩუნებული იქნება, თუმცა ტრანზაქციების გაუქმებულ დეპოზიტის მისამართზე განხორციელების შემთხვევაში გადარიცხული კრიპტოვალუტა დაიკარგება. კრიპტოვალუტის დეპოზიტის მისამართის გაუქმების შემდეგ თქვენ გექნებათ შესაძლებლობა შექმნათ ახალი მისამართი.
- 4.11. თქვენ აცნობიერებთ და ეთანხმებით, რომ სტანდარტული ვალუტის (დოლარის/ლარის/ევროს) დეპოზიტის / გატანის მოთხოვნის შესრულებას ასეთი მოთხოვნის წარმოქმნის მომენტიდან შეიძლება დასჭირდეს 48 საათამდე დრო. სტანდარტული ვალუტის (დოლარის/ევროს/ლარის) დეპოზიტის / გატანის ოპერაციების შესრულება შეიძლება შეფერხდეს შემდეგი მიზეზების გამო: ჩვენი არასამუშაო დრო, პარტნიორი/შუამავალი ბანკების და თქვენი მომსახურე ბანკის არასამუშაო დღე და მათი პროცესებით გათვალისწინებული დრო. ამასთან, დეპოზიტის/გატანის მოთხოვნის შესრულება შესაძლებელია გადაიდოს ნებისმიერი სახის ტექნიკური მიზეზით. **Coinswap**, ფინანსური ინსტიტუტების, მათ შორის და არამხოლოდ იმ ბანკების, რომლებიც მონაწილეობენ ამ ოპერაციაში, მოთხოვნის საფუძველზე შესაძლებელია იძულებული გახდეს გააუქმოს ან დააბრუნოს უკვე შესრულებული დეპოზიტის / გატანის ოპერაცია. ასეთ შემთხვევებში თქვენ ვალდებული ხართ ითანამშრომლოთ **Coinswap**-თან, რათა გამოკვლევული იქნას ასეთი მოთხოვნის მიზეზები.
5. ხელშეკრულების შეჩერება, შეწყვეტა და გაუქმება
- 5.1. ჩვენ შეგვიძლია, წინასწარი შეტყობინების გარეშე, შევაჩეროთ პროდუქტის გამოყენება, შევცვალოთ პროდუქტი; შევწყვიტოთ პროდუქტის ან მისი ცალკეული მახასიათებლების

მონოდება თქვენთვის ან ზოგადად მომხმარებლებისთვის; ან დავანესოთ გამოყენების ან ტრანზაქციის ლიმიტები პროდუქტის მოხმარებასთან დაკავშირებით.

5.2. ჩვენ შეგვიძლია მუდმივად ან დროებით შევაჩეროთ თქვენი წვდომა პროდუქტთან ყოველგვარი შეტყობინებისა და პასუხისმგებლობის გარეშე, ნებისმიერი მიზეზით, მათ შორის, თუ დაარღვევთ წინამდებარე მოხმარების პირობებით გათვალისწინებულ ნებისმიერ პირობას, ან Coinswap-მა შესაძლოა შეაჩეროს, შეზღუდოს ან შეწყვიტოს თქვენი წვდომა ცალკეულ ან ყველა პროდუქტთან და/ან მოახდინოს თქვენი ანგარიშის ბლოკირება/დეაქტივაცია ან გააუქმოს ის იმ შემთხვევაში, თუ:

- 5.1.1. ეს მოგვეთხოვება სასამართლოს დადგენილებით ან სახელმწიფო უწყების სავალდებულო ბრძანებით;
- 5.1.2. ჩვენ გაგვიჩნდება გონივრული ეჭვი, რომ თქვენ იყენებთ პროდუქტს აკრძალული საქმიანობისთვის;
- 5.1.3. თქვენ მიერ ანგარიშის გამოყენება ექვემდებარება სასამართლო განხილვას, გამოძიებას ან სახელმწიფო სამართალწარმოებას და/ან ჩვენ ვთვლით, რომ თქვენ მიერ პროდუქტის გამოყენება აჩენს იურიდიულ ან მარეგულირებელ კანონმდებლობასთან შეუსაბამობის რისკს.

## 6. ზიანის ანაზღაურება

6.1. თქვენ აცხადებთ თანხმობას, რომ დაიცავთ და აუნაზღაურობთ Coinswap-ს და მის შვილობილ კომპანიებს, წარმომადგენლებს და სხვა აფილირებულ პირებს, აგრეთვე მათ თანამშრომლებს, კონტრაქტორებს, აგენტებს, უფლებამოსილ პირებსა და დირექტორებს, ნებისმიერ და ყველა პრეტენზიასთან, ზიანის ანაზღაურებასთან, ვალდებულებებთან, დაკავშირებულ ხარჯს (მათ შორის და არა მხოლოდ, ადვოკატის ჰონორარს), რაც წარმოიშობა:

- 6.1.1. თქვენ მიერ წინამდებარე მოხმარების პირობების ნებისმიერი პირობის დარღვევით, მათ შორის და არა მხოლოდ, ზემოთ წარმოდგენილი განცხადებებისა და გარანტიების დარღვევით;
- 6.1.2. თქვენ მიერ ნებისმიერი მესამე მხარის უფლებ(ებ)ის, მათ შორის და არა მხოლოდ, პერსონალურ მონაცემებთან ან ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული უფლებ(ებ)ის დარღვევით;
- 6.1.3. ნებისმიერი კანონის, წესის ან რეგულაციის დარღვევის შედეგად;
- 6.1.4. თქვენი მიზანმიმართული ქმედებით.

## 7. გარანტიის არარსებობა

- 7.1. პროდუქტი მიწოდებული იქნება არსებული ფორმით, ანუ „როგორც არის“ პრინციპის შესაბამისად. პროდუქტის გამოყენებასთან დაკავშირებულ ყოველგვარ რისკზე პასუხისმგებლობა გეკისრებათ თქვენ.
- 7.2. Coinswap და მასთან აფილირებული პირები არ იძლევიან გარანტიას იმის თაობაზე, რომ პროდუქტის კონტენტი იქნება ზუსტი, საიმედო ან სწორი; რომ პროდუქტი დააკმაყოფილებს

თქვენს მოთხოვნებს; რომ პროდუქტი ხელმისაწვდომი იქნება ნებისმიერ კონკრეტულ დროს ან ადგილას, იქნება უწყვეტი ან უსაფრთხო; რომ აღმოიფხვრება ყველა ხარვეზი ან შეცდომა; ან რომ პროდუქტი არ მოიცავს ვირუსებს ან სხვა მავნე კომპონენტებს. ნებისმიერი ტექნიკური თუ მექანიკური ხარვეზი/შეცდომა განიხილება როგორც გაუთვალისწინებელი გარემოება და ასეთი გარემოების დროს **Coinswap** უფლებამოსილია გააუქმოს/დააბრუნოს ხარვეზის დროს შესრულებული ტრანზაქციები. იმ შემთხვევაში, თუ თქვენ ხარვეზის/შეცდომის შედეგად მიიღეთ ზედმეტი თანხა/კრიპტოვალუტა, **Coinswap** უფლებამოსილია თქვენ ჩამოგაჭრათ ხარვეზის/შეცდომის შედეგად მიღებული თანხა/კრიპტოვალუტა. პროდუქტით სარგებლობის შედეგად ჩამოტვირთულ ან სხვაგვარად მოპოვებულ კონტენტთან დაკავშირებულ რისკზე პასუხისმგებლობა გეკისრებათ თქვენ და მხოლოდ თქვენ აგებთ პასუხს თქვენი კომპიუტერული სისტემის ან მობილურ მონაცემების დაკავშირებულ რაიმე ხარვეზსა თუ მონაცემების დაკარგვაზე, რაც იქნება ასეთი ჩამოტვირთვის ან პროდუქტით სარგებლობის შედეგი.

7.3. **Coinswap** არ იძლევა გარანტიას, არ ადასტურებს და არ იღებს პასუხისმგებლობას რომელიმე პროდუქტსა თუ მომსახურებაზე, რომელიც იქნება რეკლამირებული ან შემოთავაზებული მესამე მხარის მიერ პროდუქტის ან ნებისმიერი დაკავშირებული ვებგვერდის ან მომსახურების მეშვეობით.

## 8. პასუხისმგებლობის შეზღუდვა

8.1. **Coinswap**, მასთან აფილირებული პირები, უფლებამოსილი პირები, თანამშრომლები, წარმომადგენლები, პარტნიორები, მომწოდებლები არავითარ შემთხვევაში არ აგებენ პასუხს რაიმე არაპირდაპირ, შემთხვევით, სპეციალურ, ან სხვა ნებისმიერ ზიანზე (მათ შორის და არა მხოლოდ, დაკარგულ მოგებაზე, შემოსავალზე, გუდვილზე, ციფრულ აქტივებსა თუ მომხმარებლის სხვა კონტენტზე), მიუხედავად მისი გამომწვევი მიზეზისა, მათ შორის და არა მხოლოდ, იქნება ეს თუ არა ხელშეკრულებით, შეთანხმების დარღვევით, გარანტიით, დაუდევრობით ან სხვაგვარი საფუძვლით გამონწვეული, მაშინაც კი, თუ ზემოაღნიშნული მხარეებიდან რომელიმე იყო ინფორმირებული ასეთი ზარალის დადგომის შესაძლებლობაზე.

8.2. **Coinswap**-ის, მასთან აფილირებული პირების, უფლებამოსილი პირების, თანამშრომლების, წარმომადგენლების, პარტნიორების, მიმწოდებლების საერთო პასუხისმგებლობა, რაც დაკავშირებული იქნება წინამდებარე პირობებთან ან პროდუქტთან, არავითარ შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს: **150** ლარს.

## 9. დაბრუნების პოლიტიკა

9.1. ჩვენი კომპანია საშუალებას აძლევს თავის კლიენტებს, ისარგებლონ თანხის დაბრუნების შესაძლებლობით იმ შემთხვევაში, თუ ტრანზაქცია შესრულებულია სტანდარტულ ვალუტაში (ლარი, დოლარი, ევრო) **SWIFT**-ის (საბანკო გადარიცხვის) გამოყენებით და თუ ასეთი ტრანზაქციის დამუშავება არ არის დამთავრებული და გადარიცხვას არ აქვს „დასრულებული“ სტატუსი. ოპერაციები, რომელთა განხორციელებაც ხდება საბანკო ბარათით, ასევე კრიპტოვალუტების გაცვლასთან დაკავშირებული ოპერაციები, არ ექვემდებარება დაბრუნებას. შეუძლებელია თავდაპირველად გადახდილ თანხაზე მეტი ოდენობის თანხის დაბრუნება. თანხის დაბრუნების შესახებ **Coinswap**-ის მიერ მიღებული გადაწყვეტილება

კლიენტებს ეცნობებათ ელექტრონული ფოსტით, კლიენტის მიერ **Coinswap**-ის სისტემაში რეგისტრირებულ ელექტრონულ მისამართ(ებ)ზე.

- 9.2. თანხის დაბრუნების მოთხოვნის მიზნით, კლიენტი **Coinswap**-ს უნდა დაუკავშირდეს ელექტრონულ ფოსტაზე **business@batcave.one**-ზე ელექტრონული წერილის გაგზავნის გზით, სადაც მითითებული უნდა იყოს მოთხოვნა თანხის დაბრუნებაზე და შესაბამისი ტრანზაქციის ნომერი. თანხის დაბრუნების მოთხოვნაზე, უფრო სწრაფი რეაგირების მიზნით, რეკომენდებულია, რომ კლიენტი დაუკავშირდეს კლიენტთა მხარდაჭერის გუნდს, ტრანზაქციის გაუქმებისა და თანხის დაბრუნების მოთხოვნით. თანხის დაბრუნების მოთხოვნის მიღების შემდეგ, კლიენტს ეცნობება გადაწყვეტილების შესახებ.
- 9.3. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ კლიენტის მიერ თანხის დაბრუნების მოთხოვნის მომენტიდან ასეთი მოთხოვნის დამუშავებას შეიძლება დასჭირდეს საშუალოდ 2 სამუშაო დღე. თანხის დაბრუნების ყველა მოთხოვნა დეტალურად მოწმდება და დასტურდება **Coinswap**-ის მიერ. **Coinswap**-ის მხრიდან თანხის დაბრუნებაზე მიღებული დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, თანხა კლიენტს დაუბრუნდება იგივე მეთოდით და იმავე საბანკო რეკვიზიტებზე, საიდანაც კლიენტმა **Coinswap**-ზე განახორციელა თავდაპირველი ტრანზაქცია. თანხის დაბრუნება ხორციელდება **SWIFT** (საბანკო გადარიცხვა) მეთოდით, ბანკის სამუშაო დღეებში. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ კლიენტის საბანკო ანგარიშზე თანხის დაბრუნებას შესაძლოა ხუთი სამუშაო დღემდე დასჭირდეს, რაც დამოკიდებულია ბანკის შიდა პოლიტიკასა და/ან პროცედურებზე და რომელზეც **Coinswap** ვერანაირ გავლენას ვერ მოახდენს.
- 9.4. თანხის დაბრუნებაზე მოთხოვნის განხილვის პროცესში **Coinswap**-მა შესაძლოა მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტები, როგორცაა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები ან საგადახდო დავალება, ან გადახდის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი. თუ კლიენტის მხრიდან **Coinswap**-ის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტები არ არის წარმოდგენილი მოთხოვნის გაგზავნიდან 2 სამუშაო დღის განმავლობაში, ან **Coinswap**-ს ეჭვი შეაქვს მონოდებული დოკუმენტების ნამდვილობაში, ანაზღაურების მოთხოვნის დამუშავების დრო გაგრძელდება და მიიღება გადაწყვეტილება შემდგომი მოქმედებების განხორციელების შესახებ **Coinswap**-ის მხრიდან. სანამ ყველა გარემოება არ გაირკვევა და/ან არ დასრულდება დოკუმენტაციის გადამოწმება, **Coinswap** იტოვებს უფლებას გაყინოს კლიენტის თანხები, რომლებზეც მოთხოვნილია დაბრუნება.
- 9.5. კლიენტებმა უნდა წარმოადგინონ ზუსტი და სწორი ინფორმაცია, თავდაპირველ ტრანზაქციასთან დაკავშირებით. **Coinswap** არ არის პასუხისმგებელი კლიენტის შეცდომის გამო, ან არასწორი ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის მიწოდების გამო განხორციელებული ნებისმიერი ტრანზაქციის შედეგზე.
- 9.6. თანხის დაბრუნებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ხარჯი ანაზღაურდება კლიენტის მიერ. დაბრუნებასთან დაკავშირებული ხარჯები ჩამოიჭრება მომხმარებლის მიერ მისაღები დასაბრუნებელი თანხიდან.
10. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავის გადაწყვეტა

წინამდებარე პირობებს და მათ შესრულებას არეგულირებს საქართველოს კანონმდებლობა. მხარეთა შორის წინამდებარე მოხმარების პირობებთან ან პროდუქტთან წარმოშობილი ყველა დავა განსახილველად გადაეცემა საქართველოს საერთო სასამართლოებს ექსკლუზიურად.

## 11. ინტელექტუალური საკუთრება

- 11.1. ინტელექტუალური საკუთრების ფარგლებში წარმოდგენილი ყველა აქტივი (შემდგომში წოდებული, როგორც „ინტელექტუალური საკუთრება“), მათ შორის და არა მხოლოდ საავტორო უფლებები, პატენტები, სასაქონლო ნიშნები, სავაჭრო დასახელებები, პროგრამული კოდები, გამოსახულებები, ლოგოები, სიმბოლოები, სავაჭრო საიდუმლოება, დიზაინები და გრაფიკები დაცულია ინტელექტუალური საკუთრების ადგილობრივი და საერთაშორისო კანონმდებლობით და ხელშეკრულებებით.
- 11.2. თქვენ არავითარ შემთხვევაში არ შეგიძლიათ შეცვალოთ, გაამრავლოთ, გაავრცელოთ ან კომერციულად გამოიყენოთ ნებისმიერი მასალა, მათ შორის ტექსტი, გრაფიკა, ვიდეო, აუდიო, პროგრამული კოდი, მომხმარებლის ინტერფეისის დიზაინი ან ლოგოები.

## 12. კომუნიკაცია

- 12.1. თქვენ აცხადებთ თანხმობას, რომ ელექტრონულად მიიღოთ ყველა კომუნიკაცია, რაც შესაძლოა მოგაწოდოთ GEX-მა, თქვენს Coinswap ანგარიშთან და / ან ჩვენი პროდუქტის გამოყენებასთან დაკავშირებით.
- 12.2. აღნიშნული მიზნებისათვის, „კომუნიკაცია“ ნიშნავს ყველა კომუნიკაციას, შეთანხმებას, დოკუმენტს, ქვითარს, შეტყობინებას და ინფორმაციის გამჟღავნებას, რაც შეიძლება პერიოდულად მოგაწოდოთ Coinswap-მა.
- 12.3. თქვენ შეგიძლიათ გააუქმოთ თქვენი თანხმობა ელექტრონული კომუნიკაციის მიღებაზე, რისთვისაც მომხმარებელთა მხარდაჭერის სამსახურს უნდა გაუგზავნოთ გაუქმების შესახებ შეტყობინება. ელექტრონული კომუნიკაციების მიღებაზე უარის თქმის ან თანხმობის გაუქმების შემთხვევაში, Coinswap-მა შეიძლება შეაჩეროს ან შეწყვიტოს თქვენს მიერ პროდუქტით სარგებლობა.



## AML პოლიტიკა

### 1. ზოგადი პირობები

1.1. ფულის გათეთრებისა და ტერორისტების დაფინანსების პრევენციის, აგრეთვე საერთაშორისო სანქციებთან შესაბამისობის პოლიტიკა (შემდგომში ნოდებული როგორც პოლიტიკა) განსაზღვრავს შესაბამის მოთხოვნებს კლიენტების შესამოწმებლად (როგორც ეს განსაზღვრულია 2.7-ე პუნქტში) და ტრანზაქციებისთვის (როგორც ეს განსაზღვრულია 2.6-ე პუნქტში) ისეთი გარიგებების გაფორმების თავიდან ასაცილებლად, რომლებთან დაკავშირებითაც არსებობს გონივრული ეჭვი, რომ ადგილი აქვს ფულის გათეთრებას და ტერორისტული საქმიანობის დაფინანსებას, ასეთი გარიგებების იდენტიფიცირების და შესაბამისი ანგარიშგების უზრუნველსაყოფად.

1.2. წინამდებარე პოლიტიკის შესრულების ვალდებულება ეკისრება მთავარ აღმასრულებელ დირექტორს და პროდუქტის პროვაიდერის თანამშრომლებს, მათ შორის, დროებით პერსონალს, პროვაიდერის აგენტებს, რომლებიც დაიწყებენ ან დაამყარებენ საქმიან ურთიერთობებს (როგორც ეს განსაზღვრულია 2.5-ე პუნქტში) (შემდგომში ყოველი მათგანი ერთობლივად ნოდებულია, როგორც წარმომადგენელი). ყველა წარმომადგენელმა ხელმოწერით უნდა დაადასტუროს, რომ გაეცნო წინამდებარე პოლიტიკას.

1.3. ეს პოლიტიკა განსაზღვრავს სტანდარტებს, რომლებიც წარმოდგენილია ფინანსურ საკითხებზე სამოქმედო სამუშაო ჯგუფის (FATF) 49-ე რეკომენდაციაში, „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში და ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების მიზნით ფინანსური სისტემის გამოყენების თავიდან აცილების თაობაზე საერთაშორისო მონინავე პრაქტიკაში.

## 2. ტერმინების განმარტება

2.1. ფულის გათეთრება - მოქმედებების ერთობლიობა დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მიღებული ქონებით ან ამ ქონების ნაცვლად მიღებული სხვა ქონებით, რომლის მიზანიც მდგომარეობს შემდეგში:

- i. ქონების არსის, წყაროს, ადგილმდებარეობის, განლაგების, გადაადგილების, საკუთრების უფლების ან ქონებასთან დაკავშირებული სხვა უფლებების დამალვა ან შენიღბვა;
- ii. აღნიშნული ქონების გარდაქმნა, გადაცემა, მოპოვება, ფლობა ან გამოყენება ქონების უკანონო წარმომავლობის დამალვის ან შენიღბვის მიზნით, ან ისეთი პირის დასახმარებლად, რომელიც მონაწილეობს დანაშაულებრივ საქმიანობაში, მისი ქმედების სამართლებრივი შედეგების თავიდან ასაცილებლად;
- iii. 2.1.i-ე და 2.1.ii-ე ქვეპუნქტებში მითითებულ ქმედებებში მონაწილეობა, ასეთი ქმედებების შესრულების, შესრულების მცდელობის, დახმარების, თანამონაწილეობის, მხარდაჭერისა და რჩევის მიზნით გაერთიანება.

2.2. ტერორიზმის დაფინანსება – ტერორისტებისთვის ან ტერორისტული ორგანიზაციებისთვის ფულადი სახსრების გადაცემა ან შეგროვება იმ განზრახვით, რომ ასეთი სახსრები გამოყენებული ან გათვალისწინებული იქნება მხოლოდ ტერორისტული მიზნებისთვის, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს სახსრები არ იქნება კავშირში კონკრეტულ ქმედებასთან, სრულად ან ნაწილობრივ, აგრეთვე ისეთი ქმედებების მომზადებისთვის, რომლებიც კანონით მიჩნეულია სისხლის სამართლის დანაშაულად.

2.3. საერთაშორისო სანქციები - ევროკავშირის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, უცხოური აქტივების კონტროლის სამმართველოს (OFAC), სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ან საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი არა-სამხედრო ღონისძიებების ჩამონათვალი, რომლებიც მიზნად ისახავს მშვიდობის შენარჩუნებას ან აღდგენას, კონფლიქტების პრევენციას და საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფას, დემოკრატიის მხარდაჭერასა და განმტკიცებას, კანონის უზენაესობის დაცვას, ადამიანის უფლებების პატივისცემას და საერთაშორისო სამართლის უზენაესობას.

2.4. კომპლენსის ოფიცერი - წარმომადგენელი, რომელსაც ნიშნავს მთავარი აღმასრულებელი დირექტორი და რომლის პასუხისმგებლობაშიც პოლიტიკის ეფექტიანად განხორციელება შედის.

2.5. საქმიანი ურთიერთობა - კლიენტისა და ეკონომიკური და პროფესიული საქმიანობის შედეგად შექმნილი პროდუქტის პროვაიდერის ურთიერთობა.

2.6. ტრანზაქცია - ფულადი სახსრების მოძრაობა ან საგადახდო ორდერი, საბანკო გადარიცხვა, საკრედიტო/სადებეტო ბარათით გადახდა ან კრიპტოვალუტის გადარიცხვა კლიენტისგან პროდუქტის პროვაიდერის მიმართ.

2.7. კლიენტი - ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც იყენებს პროვაიდერის პროდუქტს.

2.8. ბენეფიციარი მფლობელი - არის ფიზიკური პირი, რომელიც:

- i. საკუთარი გავლენის გათვალისწინებით, ასრულებს ტრანზაქციის, ოპერაციის ან ნებისმიერი სხვა პირის კონტროლს, მის ინტერესებში შედის, მის სასარგებლოდ ან მისი მხრიდან ხორციელდება ტრანზაქცია ან ოპერაცია, ასრულებს ტრანზაქციას, აქტს, განახორციელებს მოქმედებას, ჩაატარებს ოპერაციას, მიიღებს შესაბამის ზომას ან სხვაგვარად განახორციელებს კონტროლს გარიგების, აქტის, მოქმედების, ოპერაციის განხორციელებასა თუ შესაბამისი ზომის მიღებაზე ან სხვა პირის მიმართ, რომლის ინტერესებშიც და ვის სასარგებლოდაც, ან ვისი ხარჯებითაც სრულდება ტრანზაქცია, აქტი, მოქმედება, ოპერაცია ან ზომა.
- ii. საბოლოოდ ფლობს ან აკონტროლებს იურიდიულ პირს აქციების საკმარისი პროცენტული რაოდენობის, ხმის მიცემის უფლებების ან პირდაპირი თუ არაპირდაპირი წილის ფლობით ამ პირის მიმართ, მფლობელის წილების ჩათვლით ან სხვა საშუალებებით კონტროლის გზით. პირდაპირი ფლობა არის კონტროლის განხორციელების თავისებურება, როდესაც ფიზიკური პირი ფლობს 25% წილს პლუს ერთი აქცია ან 25%-ზე მეტ წილს კომპანიაში. არაპირდაპირი ფლობა არის კონტროლის განხორციელების გზა, როდესაც კომპანია, რომელსაც ფიზიკური პირი აკონტროლებს ან რამდენიმე კომპანია, რომლებიც იმავე ფიზიკური პირის კონტროლს ექვემდებარება, ფლობს 25% წილს პლუს ერთი აქცია ან კომპანიის აქტივების 25%-ზე მეტს.
- iii. იმყოფება ხელმძღვანელ თანამდებობაზე იმ შემთხვევაში, თუ იდენტიფიკაციის ყველა შესაძლო ზომის ამონურვის შემდეგ, ii-ე ქვეპუნქტში მითითებული პირის იდენტიფიკაცია შეუძლებელია და არ არსებობს ეჭვი იმის თაობაზე, რომ ასეთი პირი არსებობს ან როდესაც პირიქით, არსებობს ეჭვი იმის თაობაზე, არის თუ არა იდენტიფიცირებული პირი ბენეფიციარი მფლობელი;
- iv. მინდობილობით საკუთრების, სამოქალაქო სამართლებრივი პარტნიორობის, თანასაზოგადოების ან სამართლებრივი შეთანხმების შემთხვევაში, ბენეფიციარი მფლობელი წარმოადგენს ფიზიკურ პირს, რომელიც საბოლოოდ აკონტროლებს ასოციაციას პირაპირი ან არაპირდაპირი ფლობით ან სხვაგვარად და არის ასეთი ასოციაციის: დამფუძნებელი ან პირი, რომელმაც ქონება გადასცა ასოციაციის აქტივების შესაქმნელად, რწმუნებული, მმართველი ან მფლობელი, რომელიც უზრუნველყოფს და აკონტროლებს ქონების დაცვას, რომელთან დაკავშირებითაც ასეთი პირი დაინიშნება, ან ბენეფიციარი, ან როდესაც საჭიროა ბენეფიციარისა თუ ბენეფიციარების განსაზღვრა, იმ პირების კლასი, რომელთა მთავარ ინტერესებშიც იქმნება ან ოპერირებს ასეთი ასოციაცია.

2.9. პოლიტიკური გავლენის მქონე პირი (PEP) - არის ფიზიკური პირი, რომელსაც აქვს ან რომელსაც დაეკისრა საყოველთაო საჯარო უფლებამოსილებების შესრულება, აღნიშნული ფიზიკური პირი შეიძლება იყოს: სახელმწიფოს მეთაური, მთავრობის მეთაური, მინისტრი და მინისტრის

მოადგილე ან თანაშემწე; პარლამენტის ან ანალოგიური საკანონმდებლო ორგანოს წევრი, პოლიტიკური პარტიის მმართველი ორგანოს წევრი, უზენაესი სასამართლოს წევრი, აუდიტორთა სასამართლოს ან ცენტრალური ბანკის გამგეობის წევრი; ელჩი, მაღალჩინოსანი შეიარაღებულ ძალებში; სახელმწიფო უწყების ადმინისტრაციული, მმართველობითი ან ზედამხედველობის ორგანოს წევრი; დირექტორი, დირექტორის მოადგილე და საბჭოს წევრი ან საერთაშორისო ორგანიზაციის ეკვივალენტური თანამდებობის პირი, გარდა საშუალო ან უმცროსი რანგის თანამდებობის პირებისა.

2.9.1. იმ პირის ოჯახის წევრი, რომელიც ასრულებს საყოველთაო საჯარო უფლებამოსილებებს, არის პოლიტიკურად აქტიური პირის მეუღლე ან ეკვივალენტური პირი; შვილები და მათი მეუღლე, ან პირი, რომელიც ითვლება პოლიტიკურ საქმიანობაში ჩართული პირის მეუღლედ; პოლიტიკური ზეგავლენის მქონე პირის მშობელი.

2.9.2. იმ პირის ახლო ნათესავი, რომელიც ასრულებს საყოველთაო საჯარო უფლებამოსილებებს, არის ფიზიკური პირი, რომელიც ცნობილია, რომ წარმოადგენს იურიდიული პირის ან იურიდიული ორგანიზაციის ბენეფიციარ მფლობელს ან ერთობლივ ბენეფიციარ მფლობელს, ან აკავშირებს რაიმე სხვა მჭიდრო საქმიანი ურთიერთობა პოლიტიკური ზეგავლენის მქონე პირთან; და ფიზიკური პირი, რომელიც ერთპიროვნულად ბენეფიციარულად ფლობს იმ იურიდიულ პირს ან იურიდიულ ორგანიზაციას, რომელიც ცნობილია, რომ შეიქმნა პოლიტიკური გავლენის მქონე პირის დე ფაქტო სარგებლისთვის.

2.10. ვირტუალური ვალუტა - ციფრული ფორმით წარმოდგენილი ფასეულობა, რომლის გადაცემაც, შენახვა ან გაყიდვა ხდება ციფრულად და რომელსაც პირები ღებულობენ, როგორც საგადახდო ინსტრუმენტს; არარეგულირებადი, ციფრული ფულის ტიპი, რომელიც გაიცემა და ჩვეულებრივ კონტროლდება მისი შემქმნელის მიერ, აგრეთვე გამოიყენება და მიიღება სპეციფიკური ვირტუალური საზოგადოების წევრებს შორის.

### 3. კომპლენსის ოფიცერი

3.1. მთავარი აღმასრულებელი დირექტორი ნიშნავს კომპლენსის ოფიცერს, რომლის ძირითად უფლება-მოვალეობებში შედის შემდეგი:

3.1.1. აწარმოოს პოლიტიკით შესაბამისობის მონიტორინგი რელევანტურ კანონებთან და აკონტროლოს წარმომადგენელთა საქმიანობის შესაბამისობა პოლიტიკის ფარგლებში დადგენილ პროცედურებთან;

3.1.2. შეაგროვოს და განაახლოს მონაცემები დაბალი საგადასახადო რისკის მქონე ქვეყნებთან, ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების მაღალი და დაბალი რისკის მქონე ქვეყნებთან დაკავშირებით, რომლებიც დგანან ფულის გათეთრებისა და ტერორისტების დაფინანსების საფრთხის წინაშე;

3.1.3. ჩაატაროს ტრენინგი, გასცეს ინსტრუქცია და მიაწოდოს განახლებული ინფორმაცია წარმომადგენლებს ფულის გათეთრების თავიდან აცილებისა და ტერორისტული დაფინანსების აღკვეთის პროცედურებთან დაკავშირებით;

3.1.4. წელიწადში ერთხელ (ან, საჭიროების შემთხვევაში, უფრო მეტი სიხშირით) მთავარ აღმასრულებელ დირექტორს წარუდგინოს ანგარიში პოლიტიკის შესრულების და იმ ტრანზაქციების

განხორციელების შესახებ, რომელთა მიმართაც არსებობს ეჭვი, რომ გამიზნულია ფულის გათეთრებისა თუ ტერორიზმის დაფინანსებისთვის;

3.1.5. შეაგროვოს, დაამუშავოს და გააანალიზოს წარმომადგენლებისგან ან კლიენტებისგან მიღებული მონაცემები საეჭვო და უჩვეულო საქმიანობის შესახებ;

3.1.6. უზრუნველყოს ანგარიშგება ფულის გათეთრების ან ტერორისტული საქმიანობის დაფინანსების საეჭვო შემთხვევებზე და მოახდინოს რეაგირება საქართველოს შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების დაკითხვებზე;

3.1.7. წარადგინოს შეთავაზებები შემონმების პროცესში გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორების შესახებ.

#### 4. კომპლექსური შემონმების ზომების განხორციელება

4.1. პროდუქტის პროვაიდერმა უნდა განსაზღვროს და მიიღოს კომპლექსური შემონმების სათანადო ზომები (შემდგომში ნოდებული როგორც კომპლექსური შემონმება), რისკის შეფასების შედეგების გამოყენებით.

4.2. წარმომადგენლებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ტრანზაქციაში მონაწილე კლიენტების საქმიანობას და იმ გარემოებებს, რომლებიც ეხება ფულის გათეთრებას ან ტერორისტული საქმიანობის დაფინანსებას, კომპლექსურ, მაღალი ღირებულების ან უჩვეულო ტრანზაქციების ჩათვლით, რომელთაც არ გააჩნიათ რაიმე გონივრული ეკონომიკური დანიშნულება.

4.3. კლიენტის და/ან ტრანზაქციის რისკის დონიდან გამომდინარე, აგრეთვე იმის მიხედვით, უკვე არსებობს თუ არა საქმიანი ურთიერთობა ან ის მხოლოდ ახლა ყალიბდება, პროდუქტის პროვაიდერი მიმართავს კომპლექსური შემონმების ჩვეულებრივ ზომებს (იხილეთ პუნქტი 5), კომპლექსური შემონმების გამარტივებულ ზომებს (იხილეთ პუნქტი 8) ან კომპლექსური შემონმების გაუმჯობესებულ ზომებს (იხილეთ პუნქტი 9). პროდუქტის პროვაიდერმა უნდა ისარგებლოს კომპლექსური შემონმების უწყვეტი ზომებითსაქმიანი ურთიერთობების მიმდინარე მონიტორინგის უზრუნველსაყოფად.

4.4. კომპლექსური შემონმების ზომები მოიცავს შემდეგ პროცედურებს:

i. კლიენტის იდენტიფიცირება და მისი პირადობის გადამოწმება სანდო, დამოუკიდებელი წყაროების, დოკუმენტების ან მონაცემების გამოყენებით, მათ შორის ელექტრონული იდენტიფიცირების გზით;

ii. კლიენტის წარმომადგენლის იდენტიფიცირება და გადამოწმება, აგრეთვე წარმომადგენლობითი უფლების დადგენა;

iii. კლიენტის ბენეფიციარი მფლობელის იდენტიფიცირება;

iv. საქმიანი ურთიერთობის და ტრანზაქციის დანიშნულების შესახებ ინფორმაციის მოპოვება და, საჭიროების შემთხვევაში, შეფასება;

v. კლიენტის ბიზნესის კომპლექსური შემოწმება იმ ფაქტის უზრუნველყოფის მიზნით, რომ განხორციელებული ტრანზაქციები შეესაბამება პროვაიდერის მიერ კლიენტის მიმართ პროდუქტის და მისი ფულადი საშუალებების შესახებ მიწოდებულ ინფორმაციას;

vi. ინფორმაციის მოპოვება იმის თაობაზე, არის თუ არა კლიენტი პოლიტიკური გავლენის მქონე პირი, პოლიტიკური გავლენის მქონე პირის ოჯახის წევრი ან პოლიტიკური გავლენის მქონე პირის ახლო ნათესავი.

4.5. პროდუქტის პროვაიდერი, საჭიროების შემთხვევაში, განსაზღვრავს კლიენტის ქონების/შემოსავლის წყაროს.

4.6. კომპლექსური შემოწმების ვალდებულების სისრულეში მოსაყვანად, წარმომადგენლები სარგებლობენ შემდეგი უფლებებით და ვალდებულებებით:

i. მოითხოვონ შესაბამისი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები, კლიენტისა და მისი წარმომადგენლების ვინაობის დასადაგენად;

ii. მოითხოვონ დოკუმენტები და ინფორმაცია კლიენტის საქმიანობის და ფულადი სახსრების კანონიერი წარმოშობის შესახებ;

iii. მოითხოვონ ინფორმაცია იურიდიული პირის ბენეფიციარი მფლობელების შესახებ;

iv. შეამოწმონ კლიენტის / ტრანზაქციის რისკის პროფილი, შეარჩიონ კომპლექსური შემოწმების შესაბამისი ზომები, შეაფასონ რისკი, არის თუ არა კლიენტი ან ტრანზაქციასთან დაკავშირებული სხვა პირი ჩართული ან შეიძლება თუ არა მონაწილეობდეს ფულის გათეთრებაში ან ტერორისტული საქმიანობის დაფინანსებაში;

v. განმეორებით განსაზღვრონ კლიენტის ან კლიენტის წარმომადგენლის ვინაობა იმ შემთხვევაში, თუ წარმოიშობა რაიმე ეჭვი თავდაპირველი იდენტიფიკაციის პროცესში მიღებული ინფორმაციის სისწორესთან დაკავშირებით;

vi. უარი თქვან ტრანზაქციაში მონაწილეობაზე ან ტრანზაქციის განხორციელებაზე იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ეჭვი, რომ ტრანზაქცია უკავშირდება ფულის გათეთრებას ან ტერორისტული საქმიანობის დაფინანსებას, ან რომ კლიენტი ან ტრანზაქციასთან დაკავშირებული სხვა პირი არის ჩართული ან შეიძლება მონაწილეობდეს ფულის გათეთრებაში ან ტერორისტული საქმიანობის დაფინანსებაში.

4.7. მუდმივად გამოყენებული კომპლექსური შემოწმების ზომების მიზანს კლიენტებისა და ტრანზაქციების მიმდინარე მონიტორინგი წარმოადგენს. საქმიანი ურთიერთობის მიმდინარე მონიტორინგის განხორციელება ითვალისწინებს შემდეგს:

- i. განხორციელებული ტრანზაქციების საფუძვლიანი შემოწმება იმის უზრუნველსაყოფად, რომ აღნიშნული ტრანზაქციები შეესაბამება პროვაიდერის მიერ კლიენტის მიმართ პროდუქტის, საქმიანობისა და რისკის პროფილის შესახებ მინოდებულ ცოდნას;
- ii. ტრანზაქციებთან დაკავშირებით ფულადი სახსრების წყაროს შესახებ ინფორმაციის მოპოვება;
- iii. კომპლექსური შემოწმების ზომების განხორციელების დროს მოპოვებული დოკუმენტების, მონაცემების ან ინფორმაციის მუდმივად განახლება;
- iv. განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა იმ ტრანზაქციებსა და კლიენტის მოქმედებებზე, რაც იწვევს დანაშაულებრივ საქმიანობას ან ფულის გათეთრებასა თუ ტერორისტული საქმიანობის დაფინანსებას, აგრეთვე ტრანზაქციების არსის, მიზეზების და მონაცემების გარკვევა;
- v. განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა საქმიან ურთიერთობებზე ან ტრანზაქციებზე იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი წარმოადგენს იურიდიულ პირს, რომელიც მითითებულია რისკის ქვეყნების ჩამონათვალში მითითებულ მესამე ქვეყანაში.

4.8. კლიენტის, როგორც იურიდიული პირის ყოველწლიური შემოწმება სრულდება რეგულარულად, წელიწადში ერთხელ. განახლებული მონაცემები აისახება პროდუქტის კლიენტის მონაცემთა ბაზაში.

4.9. წარმომადგენელი განაახლებს კლიენტის მონაცემებს, რომელიც წარმოადგენს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, ანუ მიმართავს შესაბამის კომპლექსური შემოწმების ზომებს ყოველ ჯერზე, როდესაც:

- i. კლიენტი მიმართავს პროდუქტის პროვაიდერს გრძელვადიან ხელშეკრულებაში ცვლილებების განხორციელების მოთხოვნით, აღნიშნული ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში;
- ii. ინფორმაციის იდენტიფიკაციისა და გადამოწმების შემდეგ წარმოიშვება ეჭვი, რომ ადრე შეგროვებული დოკუმენტები ან მონაცემები არაა საკმარისი, შეცვლილია ან არასწორია. ამ შემთხვევაში, წარმომადგენელს შეუძლია პირისპირ შეხვედეს კლიენტს;
- iii. მონაცემები, რომლებიც ეხება კლიენტის ტრანზაქციებს, მიუთითებს მნიშვნელოვან ცვლილებებზე კლიენტის საქმიანობაში ან საქმიანობის მოცულობაში, რაც იძლევა კლიენტის რისკის პროფილში ცვლილებების განხორციელების გარანტიას;
- iv. პროდუქტის პროვაიდერი მესამე პირების ან მედიის საშუალებით შეიტყობს, რომ კლიენტის საქმიანობა ან მის შესახებ ინფორმაცია მნიშვნელოვნად შეიცვალა.

4.10. წარმომადგენელი შეაფასებს კლიენტის საქმიანობის არსს და მიზანს, რათა განსაზღვროს შესაბამისი ტრანზაქციის შესაძლო კავშირები ფულის გათეთრებასთან ან ტერორისტული საქმიანობის დაფინანსებასთან. შეფასების შედეგად გასაგები გახდება საქმიანი ურთიერთობის მიზანი, კლიენტის საქმიანობის არსი, კლიენტის რისკის დონეები და, საჭიროების შემთხვევაში, ტრანზაქციებთან დაკავშირებული ფულადი სახსრების წყაროები.

5. კომპლექსური შემოწმების ნორმალური ზომები

5.1. პროდუქტის პროვაიდერმა სისრულეში უნდა მოიყვანოს ნორმალური კომპლექსური შემონმება შემდეგ შემთხვევებში:

- i. ახალი საქმიანი ურთიერთობის დამყარებისთანავე;
- ii. თუ ერთი წლის განმავლობაში ერთი ტრანზაქციის ღირებულება გადააჭარბებს 30 000 ლარს, იმის მიუხედავად, სრულდება თუ არა ფინანსური ვალდებულება ერთ ან რამდენიმე გადახდაში;
- iii. კომპლექსური შემონმების ზომების განხორციელებისას ადრე შეგროვებული დოკუმენტები ან ინფორმაცია არაა საკმარისი ან არსებობს გონივრული ეჭვი ასეთი ინფორმაციის სისწორესთან დაკავშირებით;
- iv. ფულის გათეთრების ან ტერორისტული საქმიანობის დაფინანსების შესახებ ეჭვის არსებობის საფუძველზე.

5.2. კომპლექსური შემონმების ნორმალური ზომების განხორციელებისას, წარმომადგენელი მიმართავს კომპლექსური შემონმების ზომებს, როგორც ეს მითითებულია 4.4-ე პუნქტში.

5.3. დაუშვებელია ახალი საქმიანი ურთიერთობის დამყარება ან ტრანზაქციის განხორციელება იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი, შესაბამისი თხოვნის მიუხედავად, ვერ შეძლებს დოკუმენტებისა და სათანადო ინფორმაციის წარდგენას, რაც აუცილებელი იქნება კომპლექსური შემონმების ჩასატარებლად, ან თუ წარმოდგენილ დოკუმენტებზე დაყრდნობით, წარმომადგენელი ეჭვობს, რომ ადგილი აქვს ფულის გათეთრებას ან ტერორიზმის დაფინანსებას.

5.4. თუ შესაბამისი მოთხოვნის მიუხედავად, არსებული კლიენტი ვერ წარმოადგენს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდის განმავლობაში დოკუმენტაციას და სათანადო ინფორმაციას კომპლექსური შემონმების ჩასატარებლად. ასეთი ქმედება ჩაითვლება ხელშეკრულების არსებით დარღვევად და აღნიშნული უნდა ეცნობოს წარმომადგენლის მიერ კომპლენსის ოფიცერს, ამ შემთხვევაში კლიენტთან გაფორმებული ხელშეკრულება გაუქმდება, ხოლო საქმიანი ურთიერთობა შეწყდება დაუყოვნებლივ, პირველივე შესაძლებლობისთანავე.

5.5. პროდუქტის პროვაიდერმა არ უნდა დაინცოს საქმიანი ურთიერთობება ანონიმურ კლიენტებთან.

## 6. პირის იდენტიფიცირება

6.1. კომპლენსის ოფიცრის მიმართ გაგზავნილი შეტყობინება უნდა ითვალისწინებდეს შემდეგ ინფორმაციას:

6.1.1 საქმიანი ურთიერთობის პროცესში გამოვლენილი ნებისმიერი უჩვეულო ან საეჭვო გარემოება ან ისეთი ნიშნების არსებობა, რომლებიც მიუთითებს ფულის გათეთრებაზე, ტერორისტების



დაფინანსებაზე ან აღნიშნულის მცდელობაზე, რის შესახებაც წარმომადგენელმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს კომპლენსის ოფიცერს;

**6.1.2.** კომპლენსის ოფიცერი გააანალიზებს და შესაბამის ინფორმაციას მიაწვდის მთავარ აღმასრულებელ დირექტორს.

**6.2.** ოფიციალური სახელმწიფო უფლებამოსილი ორგანოების მიმართ გაგზავნილი შეტყობინება უნდა ითვალისწინებდეს შემდეგ ინფორმაციას:

**6.2.1.** კომპლენსის ოფიცერი უფლებამოსილია გადანყვიტოს, არის თუ არა ტრანზაქცია საეჭვო და, შესაბამისად, გადაუგზავნოს ინფორმაცია შესაბამის ოფიციალურ სახელმწიფო უფლებამოსილი ორგანოებს (FIU), ხოლო მთავარმა აღმასრულებელმა დირექტორმა უნდა მიიღოს გადანყვიტოება შეაჩეროს თუ არა ტრანზაქციის განხორციელება და/ან შეწყვიტოს თუ არა საქმიანი ურთიერთობა;

**6.2.2.** კომპლენსის ოფიცერი შეინახავს ნებისმიერ ანგარიშს, რომელთაც მიიღებს წარმომადგენლებისგან საეჭვო ან უჩვეული ტრანზაქციების შესახებ იმ ფორმატით, რომლის აღდგენაც შემდგომ იქნება შესაძლებელი, სრულ ინფორმაციას, რომელიც შეგროვდება ასეთი შეტყობინებების გასაანალიზებლად, აგრეთვე სხვა დაკავშირებულ დოკუმენტაციებსა და შეტყობინებებს, რომლებიც ექვემდებარება ანგარიშგებას შესაბამისი პერიოდისთვის, შეტყობინების გაგზავნისა და ინფორმაციის მიწოდების დროის მითითებით იმ წარმომადგენლების შესახებ, რომლებმაც გაგზავნეს ასეთი შეტყობინებები და ინფორმაცია;

**6.2.3.** კლიენტი ან ტრანზაქციაში მონაწილე პირი (მათი წარმომადგენლებისა და სხვა დაკავშირებული პირების ჩათვლით), რომელიც კლასიფიცირებულია, როგორც საეჭვო, შესაძლოა არ იყოს ინფორმირებული აღნიშნულის თაობაზე.

## 7. რისკის შეფასება

პროდუქტის პროვაიდერს საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად მიღებული უნდა ჰქონდეს რისკზე დაფუძნებული მიდგომა ფულის გათეთრების და ტერორისტული საქმიანობის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლაში. რისკზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენებით, პროდუქტის პროვაიდერს შეუძლია უზრუნველყოს ფულის გათეთრების და ტერორისტული საქმიანობის დაფინანსების თავიდან აცილების ან შემცირების ღონისძიებები შესაბამისობაში მოყვანა დადგენილ რისკებთან. აღნიშნული უზრუნველყოფს რესურსების განაწილების შესაძლებლობას ყველაზე ეფექტიანი გზით. პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ რესურსების გამოყენება მოხდეს პრიორიტეტების შესაბამისად, რათა ყველაზე მეტი ყურადღება მიექცეს ყველაზე მნიშვნელოვან რისკებს.

## 8. ანგარიშგება საეჭვო ტრანზაქციების შესახებ

**8.1.** კომპლენსის ოფიცრის მიმართ გაგზავნილი შეტყობინება უნდა ითვალისწინებდეს შემდეგ ინფორმაციას:

**8.1.1** საქმიანი ურთიერთობის პროცესში გამოვლენილი ნებისმიერი უჩვეულო ან საეჭვო გარემოება ან ისეთი ნიშნების არსებობა, რომლებიც მიუთითებს ფულის გათეთრებაზე, ტერორისტების

დაფინანსებაზე ან აღნიშნულის მცდელობაზე, რის შესახებაც წარმომადგენელმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს კომპლენსის ოფიცერს;

**8.1.2.** კომპლენსის ოფიცერი გააანალიზებს და შესაბამის ინფორმაციას მიაწვდის მთავარ აღმასრულებელ დირექტორს.

**8.2.** ოფიციალური სახელმწიფო უფლებამოსილი ორგანოების მიმართ გაგზავნილი შეტყობინება უნდა ითვალისწინებდეს შემდეგ ინფორმაციას:

**8.2.1.** კომპლენსის ოფიცერი უფლებამოსილია გადაწყვიტოს, არის თუ არა ტრანზაქცია საეჭვო და, შესაბამისად, გადაუგზავნოს ინფორმაცია შესაბამის ოფიციალურ სახელმწიფო უფლებამოსილ ორგანოებს (FIU), ხოლო მთავარმა აღმასრულებელმა დირექტორმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება შეაჩეროს თუ არა ტრანზაქციის განხორციელება და/ან შეწყვიტოს თუ არა საქმიანი ურთიერთობა;

**8.2.2.** კომპლენსის ოფიცერი შეინახავს ნებისმიერ ანგარიშს, რომელთაც მიიღებს წარმომადგენლებისგან საეჭვო ან უჩვეული ტრანზაქციების შესახებ იმ ფორმატით, რომლის აღდგენაც შემდგომ იქნება შესაძლებელი, სრულ ინფორმაციას, რომელიც შეგროვდება ასეთი შეტყობინებების გასაანალიზებლად, აგრეთვე სხვა დაკავშირებულ დოკუმენტაციებსა და შეტყობინებებს, რომლებიც ექვემდებარება ანგარიშგებას შესაბამისი პერიოდისთვის, შეტყობინების გაგზავნისა და ინფორმაციის მიწოდების დროის მითითებით იმ წარმომადგენლების შესახებ, რომლებმაც გაგზავნეს ასეთი შეტყობინებები და ინფორმაცია;

**8.2.3.** კლიენტი ან ტრანზაქციაში მონაწილე პირი (მათი წარმომადგენლებისა და სხვა დაკავშირებული პირების ჩათვლით), რომელიც კლასიფიცირებულია, როგორც საეჭვო, შესაძლოა არ იყოს ინფორმირებული აღნიშნულის თაობაზე